ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოლიტიკის დოკუმენტი

2019 - 2021

სარჩევი

I. შესავალი ---------- 3

II. სტრატეგიული მიმართულებები ---------- 5

1. მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობა და განვითარება ---------- 6
1.1. სკოლამდელი ფიზიკური აღზრდის ხელშეწყობა ---------- 7
1.2. სასკოლო სპორტის ხელშეწყობა ---------- 14
1.3. საუნივერსიტეტო სპორტის ხელშეწყობა ---------- 19
1.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტის ხელშეწყობა ---------- 24
1.5. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების სპორტზე ხელმისაწვდომობა და დანაშაულის პრევენცია -28
1.6. ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა/სპორტული ვაუჩერის დანერგვა ---------- 32

2. ცნობიერების ამაღლება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და სპორტის პოპულარიზაცია ---------- 37
2.1. სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება ---------- 38
2.2. საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა ---------- 43

3. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა ---------- 46
3.1. სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია ---------- 47

თავი I:

შესავალი

ACES Europe - ევროპის დედაქალაქებისა და ქალაქების სპორტის ფედერაციამ ბათუმს 2019 წლის ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსი მიანიჭა. ბათუმი პირველი ქალაქია საქართველოდან, რომელმაც აღნიშნულ ორგანიზაციაში განაცხადი გააკეთა. ACES Europe-ის კომისიამ ბათუმში ვიზიტის დროს სპორტული ობიექტები დაათვალიერა, სპორტის ხელშეწყობის კუთხით მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებსა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში ბათუმელი სპორტსმენების მიღწევების შესახებ ინფორმაციას გაეცნო და შეაფასა არსებული მდგომარეობა. ევროპის სპორტის ქალაქის ტიტული და დროშა ბათუმმა 2018 წლის 4 დეკემბერს, დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე მიიღო, რომელიც ბრიუსელში, ევროპის პარლამენტში გაიმართა.

ბათუმისათვის 2019 წლის ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსის მინიჭება ადასტურებს, რომ ბათუმი ეტაპობრივად ყალიბდება როგორც მნიშვნელოვანი სპორტული ცენტრი, რაც ვერ მოხდება მხოლოდ ცალკეული პროექტების მხარდაჭერით. ქალაქში სპორტის განვითარება უნდა ეყრდნობოდეს თანმიმდევრულ პოლიტიკას და თანხვედრაში მოდიოდეს ქალაქის განვითარების სტრატეგიასთან. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დოკუმენტის შემუშავება. დოკუმენტი მიზნად ისახავს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას, მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და მხარდაჭერას, სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის ხელშეწყობას.

ადამიანისათვის ფიზიკური აქტივობა აუცილებელია, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებაზე, ის აძლიერებს იმუნიტეტს, ანვითარებს ტვინის უჯრედებს და ა.შ. სპორტი ხელს უწყობს სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირებას, სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელობითი, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების, თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად.

მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტთან მიმართებაში გულისხმობს ბათუმის ისეთ მძლავრ სპორტულ ცენტრად ჩამოყალიბებას, სადაც განვითარებული და ხელმისაწვდომია სპორტული ინფრასტრუქტურა, ხელშეწყობილია მასობრივი სპორტი და დამკვიდრებულია ცხოვრების ჯანსაღი წესი.

სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოლიტიკის დოკუმენტი ეფუძნება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას“, სპორტის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკას, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო დაწესებულებების სტრატეგიებსა და პოლიტიკის დოკუმენტებს, კვლევებს, სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. დოკუმენტი ამავდროულად ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სპეციფიკას და ამ ფაქტორისა და საკუთარი კომპეტენციების გათვალისწინებით განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების პოლიტიკას.

დოკუმენტის სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ განხორციელდა დოკუმენტის საჯარო პრეზენტაცია. გაიმართა შეხვედრები სპორტის სფეროს წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, დოკუმენტი განთავსდა მერიის ვებგვერდზე მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით. მიღებული მოსაზრებები და რეკომენდაციები აისახა სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოლიტიკის დოკუმენტში.

დოკუმენტი სამწლიანია და იგი მოიცავს 3 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას, ესენია:
1. მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობა და განვითარება;
2. ცნობიერების ამაღლება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და სპორტის პოპულარიზაცია;
3. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა.
დოკუმენტში დეტალურად არის გადმოცემული სტრატეგიული მიმართულებების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების მიზნები, მოსალოდნელი შედეგები, დაგეგმილი ღონისძიებები, პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები, მიზნობრივი ჯგუფები, ჩართული მხარეები და შედეგების შეფასების ინდიკატორები. დოკუმენტი ამავდროულად მოიცავს 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმას.
სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოლიტიკის დოკუმენტი ექვემდებარება განახლებას. დოკუმენტის განახლების საფუძველი იქნება სპორტის სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები.

სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების კოორდინაციაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური, რომელიც აწარმოებს აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებზე დაკვირვებასა და შედეგების შეფასებას.

სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოლიტიკის დოკუმენტის ფარგლებში მიღწეული შედეგების შესაფასებლად, მომზადდება დოკუმენტის ყოველკვარტალური, ყოველწლიური და საბოლოო ანგარიშები.

სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოლიტიკის დოკუმენტი და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა საფუძვლად დაედება მუნიციპალურ პროგრამებს.

თავი II: სტრატეგიული მიმართულებები

1. მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობა და განვითარება;
2. ცნობიერების ამაღლება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და სპორტის პოპულარიზაცია;
3. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა.

სტრატეგიული მიმართულება 1

მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობა და განვითარება

1.1. სკოლამდელი ფიზიკური აღზრდის ხელშეწყობა;
1.2. სასკოლო სპორტის ხელშეწყობა;
1.3. საუნივერსიტეტო სპორტის ხელშეწყობა;
1.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტის ხელშეწყობა;
1.5. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების სპორტზე ხელმისაწვდომობა და დანაშაულის პრევენცია;
1.6. ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა/სპორტული ვაუჩერის დანერგვა.

1.1. სკოლამდელი ფიზიკური აღზრდის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ბავშვთა ფიზიკური და სენსორული განვითარებისათვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. სკოლამდელი აღზრდის პროგრამების დატვირთვა ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული ფიზიკური აქტივობებითა და ფიზიკური თამაშებით. ბავშვისათვის ცხოვრების ჯანსაღი წესის (ჯანსაღი კვების, ჰიგიენის, ფიზიკური აქტივობების) გათავისების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად შექმნილია სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფიზიკური და სენსორული განვითარებისა და ჯანმრთელი თაობის აღზრდისათვის ხელშემწყობი გარემო. სკოლამდელი სააღმზრდელო პროგრამები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე. სააღმზრდელო პროგრამები უზრუნველყოფს სკოლამდელთა ჩართვას ფიზიკურ აქტივობებში. ბავშვებს გათავისებული აქვთ ცხოვრების ჯანსაღი წესი.

პროგრამის აღწერა

ადრეულ ასაკში ადამიანის სხეული მუდმივად და მნიშვნელოვნად იცვლება. ეს ცვლილებები გამოიხატება არა მხოლოდ ბავშვის სიმაღლეში ზრდასა და სხეულის მასის მატებაში, არამედ მისი აღნაგობისა და პროპორციების ცვლილებებში, კოორდინაციის უნარისა და მოძრაობის დახვეწაში. ამ პერიოდში განსაკუთრებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვის განვითარების ხელშემწყობი გარემო, რადგან ბავშვის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მისი ადეკვატური ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამიტომ სკოლამდელ აღზრდა - განათლებას უდიდესი როლი აკისრია და მისი მიზანი უნდა იყოს რაც შეიძლება სრული მოცულობით განავითაროს ბავშვის პიროვნება, ნიჭი, გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობები. 2017 წელს სახელმწიფომ შეიმუშავა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტები, რომლის მიხედვით, ბავშვის განვითარების სფეროებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფიზიკურ და სენსორულ განვითარებას, ბავშვის ხელშეწყობას, განივითაროს ნატიფი მოტორიკა, უხეში მოტორიკა და სენსორული უნარები. გარდა ამისა, ხელშეწყობილი უნდა იყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის (ჯანსაღი კვება, ჰიგიენა, ფიზიკური აქტივობის გათავისება) დამკვიდრება. ყოველ ასაკობრივ ჯგუფში სტანდარტის შესაბამისად უნდა განხორციელდეს ბავშვთა ფიზიკური განვითარება. საერთო ჯამში, სკოლამდელი დაწესებულების დასრულების შემდგომ, ბავშვმა უნდა შეძლოს სხეულის მოძრაობის კონტროლი, მიზანმიმართულად მოძრაობა, წონასწორობის შენარჩუნება, სხეულის წვრილი კუნთების კოორდინირებული გამოყენება, მრავალფეროვან ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობა, რისთვისაც უნდა გააჩნდეს ენერგია და გამძლეობა, უნდა იცოდეს პირადი ჰიგიენის დაცვა და შეეძლოს ჯანსაღი და არაჯანსაღი საკვების განსხვავება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ბავშვის უფლებების შესახებ მიღებული 1989 წლის კონვენციის მიხედვით, რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების დონეზე. შესაბამისად, ხელმომწერ ქვეყანას ამ კუთხით გააჩნია ვალდებულებაც, რომ აღნიშნული უფლებებით სარგებლობისთვის შექმნას ხელისშემწყობი გარემო. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს სპორტის განვითარებაზე, ცხოვრების ჯანსაღი

წესის დამკვიდრებაზე, ბავშვების და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მათ ჩართვაზე.
ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამჟამად ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებაზე მყოფი 33 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება ფუნქციონირებს. დაწესებულებები ნაწილობრივ არიან უზრუნველყოფილნი სპორტული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. თვითმმართველობის უფლებამოსილებაა ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე როგორც მუნიციპალური, ასევე კერძო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი. შესაბამისად, პროგრამის „სკოლამდელი ფიზიკური აღზრდის ხელშეწყობა“ ფარგლებში, მოკვლეული იქნება და დამუშავდება ინფორმაცია ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სპორტის მიმართულებით არსებული მდგომარეობის თაობაზე, მოხდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფორმირებულობა სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფიზიკური აღზრდის სავალდებულო სტანდარტების თაობაზე, მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხელშეწყობილი იქნება სტანდარტებზე დაფუძნებული, საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პროგრამაში კვირაში 3 დღე დაეთმობა ფიზიკური ვარჯიშების სავალდებულო და რეგულარულ საათს და სხვ. გარდა ამისა, მომავალში დაგეგმილი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მშენებლობა/რეკონსტრუქციის დროს გათვალისიწინებული იქნება ობიექტების სპორტული სივრცეებითა და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მდგომარეობის კვლევა სპორტის მიმართულებით;
- ✓ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფორმირებულობა სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფიზიკური აღზრდის სავალდებულო სტანდარტების თაობაზე;
- ✓ მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ✓ მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვალიფიცირებული ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის შტატის დაშვება ან/და ფიზიკური ვარჯიშების გაძღოლის მოვალეობის შეთავსება აღმზრდელ-პედაგოგისთვის, რომელსაც გააჩნია ფიზიკური აღზრდის სფეროში შესაბამისი ცოდნა;
- ✓ მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების უზრუნველყოფა ფიზიკური განვითარების აქტივობებისთვის საჭირო სათამაშოებითა და აღჭურვილობით;
- ✓ მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში არსებული საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფიზიკური და სენსორული ასაკობრივი განვითარებისათვის საჭირო კომპეტენციებში;
- ✓ მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების უზრუნველყოფა ფიზიკური და სენსორული აღზრდა-განათლების სასწავლო რესურსებითა და მეთოდური მასალებით;

- ✓ მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მხიარული სტარტებისთვის საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
- ✓ აღსაზრდელების ფიზიკური გასართობი თამაშების ორგანიზებისთვის, ახალგაზრდა მოხალისეების დაინტერესება;
- ✓ პირადი ჰიგიენის დაცვისა და ჯანსაღი და არაჯანსაღი საკვების განსხვავების სწავლებისთვის სასწავლო პროგრამის გამრავალფეროვნება;
- ✓ საბავშვო ბაღებს შორის მხიარული სტარტების ჩატარება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			ძოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		ძოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მდგომარეობის კვლევა სპორტის მიმართულებით	კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შესახებ არასრული ინფორმაციის არსებობა	3	4	12	სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობა სრული ინფორმაციის მოპოვების მიზნით	1	2	2
2.	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფორმირებულობა სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფიზიკური აღზრდის სავალდებულო სტანდარტების თაობაზე	კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შესახებ არასრული ინფორმაციის არსებობა	3	4	12	სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობა სრული ინფორმაციის მოპოვების მიზნით	1	2	2
3.	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესუსრსების მობილიზების მიზნით	2	2	4

4.	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების კვალიფიცირებული ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის შტატის დაშვება ან/და ფიზიკური ვარჯიშების გაძღოლის მოვალეობის შეთავსება აღმზრდელ - პედაგოგისთვის, რომელსაც გააჩნია ფიზიკური აღზრდის სფეროში შესაბამისი ცოდნა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესუსრსების მობილიზების მიზნით	2	2	4
		კვალიფიციური კადრების ნაკლებობა	4	5	20	კადრების კონკურსის წესით შერჩევა	2	3	6
5.	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების უზრუნველყოფა ფიზიკური განვითარების აქტივობებისთვის საჭირო სათამაშოებითა და აღჭურვილობით	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესუსრსების მობილიზების მიზნით	2	2	4
6.	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში არსებული საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფიზიკური და სენსორული ასაკობრივი განვითარებისათვის საჭირო კომპეტენციებში	გადამზადების ხარისხი	3	4	12	გადასამზადებელი კურსის პროგრამის შერჩევა და მონიტორინგი	2	3	6
7.	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების უზრუნველყოფა ფიზიკური და სენსორული აღზრდა-განათლების სასწავლო რესურსებითა და მეთოდური მასალებით	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესუსრსების მობილიზების მიზნით	2	2	4

8.	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მხიარული სტარტებისთვის საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესუსრსების მობილიზების მიზნით	2	2	4
9.	აღსაზრდელების ფიზიკური გასართობი თამაშების ორგანიზებისთვის, ახალგაზრდა მოხალისეების დაინტერესება	მოხალისეების დაბალი ინტერესი	3	4	12	შეირჩევიან მოხალისეები, რომლებსაც აქვთ სპორტის ან ცეკვის მიმართულებით გამოცდილება	2	3	6
10.	პირადი ჰიგიენის დაცვისა და ჯანსაღი და არაჯანსაღი საკვების განსხვავების სწავლებისთვის სასწავლო პროგრამის გამრავალფეროვნება	სასწავლო რესურსების სიმცირე	3	4	12	სასწავლო რესურსებით მომარაგება	2	3	6
11.	მხიარული სტარტების ჩატარება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესუსრსების მობილიზების მიზნით	2	2	4
		ღონისძიების დაბალი ხარისხი	2	3	6	ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებაში კვალიფიციური სპეციალისტების ჩართვა	1	2	2

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები;
- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები;
- ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი;
- მოხალისეები;
- სტუდენტები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“;

ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“;

ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მდგომარეობის კვლევა სპორტის მიმართულებით				x	x	x						
2019	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფორმირებულობა სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფიზიკური აღზრდის სავალდებულო სტანდარტების თაობაზე					x	x	x					
2019 – 2021	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 – 2021	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების კვალიფიცირებული ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის შტატის დაშვება ან/და ფიზიკური ვარჯიშების გაძღოლის მოვალეობის შეთავსება აღმზრდელ-პედაგოგისთვის, რომელსაც გააჩნია ფიზიკური აღზრდის სფეროში შესაბამისი ცოდნა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 – 2021	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების უზრუნველყოფა ფიზიკური განვითარების აქტივობებისთვის საჭირო სათამაშოებითა და აღჭურვილობით	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში არსებული საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფიზიკური და სენსორული				x	x	x	x	x	x	x	x	x

	ასაკობრივი განვითარებისათვის საჭირო კომპეტენციებში												
2020 – 2021	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების უზრუნველყოფა ფიზიკური და სენსორული აღზრდა-განათლების სასწავლო რესურსებითა და მეთოდური მასალებით	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 – 2021	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მხიარული სტარტებისთვის საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფა						x	x	x				
2020 – 2020	აღსაზრდელების ფიზიკური გასართობი თამაშების ორგანიზებისთვის, ახალგაზრდა მოხალისეების დაინტერესება						x	x	x				
2019 – 2021	პირადი ჰიგიენის დაცვისა და ჯანსაღი და არაჯანსაღი საკვების განსხვავების სწავლებისთვის სასწავლო პროგრამის გამრავალფეროვნება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 – 2021	მხიარული სტარტების ჩატარება									x	x		

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სპორტის მიმართულებით ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მდგომარეობის ამსახველი დოკუმეტი;
- საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა;
- საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა;
- რეაბილიტირებული სპორტული მოედნებისა და შეძენილი ინვენტარის რაოდენობა;
- აღსაზრდელთა ფიზიკური განვითარებისათვის შეძენილი სათამაშოებისა და სხვა საგანმანათლებლო რესურსების რაოდენობა;
- ბავშვების ფიზიკური და სენსორული ასაკობრივი განვითარების კომპეტენციებში გადამზადებულ პირთა რაოდენობა;
- ჩატარებული მხიარული სტარტების რაოდენობა;
- მხიარულ სტარტებში ჩართულ აღსაზრდელთა რაოდენობა;
- აღსაზრდელთა ფიზიკური განვითარებისთვის ორგანიზებულ გასართობ ღონისძიებებში ჩართულ მოხალისეთა რაოდენობა.

1.2. სასკოლო სპორტის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სასკოლო მასობრივი სპორტული აქტივობების ზრდის, სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და საჭირო აუცილებელი სპორტული რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობა, მოსწავლეების ჩართვა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაზრდილია მასობრივი სასკოლო სპორტული აქტივობები და მათში მოსწავლეების ჩართულობის მაჩვენებელი, მოსწავლის ცხოვრების წესში სპორტი იკავებს მნიშვნელოვან ნაწილს, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს სკოლებს მინიმალური და აუცილებელი სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურითა და სპორტული რესურსით.

პროგრამის აღწერა

ფიზიკურ განვითარებასა და აღზრდას პიროვნების ფორმირებაში უდიდესი ადგილი უჭირავს. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ფიზიკური აღზრდა მიმართულია ორგანიზმის მორფოლოგიურ - ანატომიური და ფუნქციონალური სრულყოფის, ავადმყოფობის პრევენციისა და ჯანმრთელობის დაცვის იმუნიტეტის ამაღლებისკენ. ადამიანის სენსორულ - მოძრაობითი უნარების განვითარება განპირობებულია ყველა ფიზიკური თვისების - ძალა, სისწრაფე, სიჩქარე, მოქნილობა, ამტანიანობა, გამძლეობა, სრული და ჰარმონიული განვითარებით. სკოლის მოსწავლეები დაწყებითი კლასებიდანვე უნდა აცნობიერებდნენ, რომ ჯანმრთელობა ნიშნავს არა რომელიმე დაავადების არქონას, არამედ ამ დაავადების თავიდან აცილებას, რაც ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვით არის შესაძლებელი. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ფიზიკური აქტივობა სიცოცხლის გახანგრძლივების, სოციალური და მატერიალური კეთილდღეობის საწინდარია. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს შორის, ერთ-ერთია მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ბოლო დროს გახშირდა ბავშვებსა და მოზარდებში ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდები დაავადებები. სიტუაციას აუარესებს ახალგაზრდებში სხვადასხვა არაჯანსაღ გასართობთა მზარდი პოპულარობა (კომპიუტერული თამაშები, ტოტალიზატორი, კაზინო და სხვა). ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა მსოფლიოში სიკვდილის გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთ წამყვან ადგილზეა, იგივე ორგანიზაციის რეკომენდაციაა, რომ 5-17 წლის ბავშვები და ახალგაზრდები დღეში მინიმუმ ერთსაათიანი, ხოლო 18 წელს ზევით - სულ მცირე 150 წუთიანი ყოველკვირეული საშუალო ან ინტენსიური ფიზიკური აქტივობით უნდა დაკავდნენ. უკანასკნელი მასშტაბური კვლევა, ქართველ ახალგაზრდებში მავნე ნივთიერებების მოხმარების თაობაზე, 2015 წლის ნოემბერში ჩატარდა და იგი ასახულია ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევაში. მასში მონაწილეობა 190 სკოლის მე-10 კლასელებმა მიიღეს. კვლევის შედეგები საკმაოდ მძიმეა: თამბაქოს მოხმარება დაფიქსირდა გამოკითხულ მოსწავლეთა - 43 პროცენტში, მოსწავლეების 85%-მა აღნიშნა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლი, 11%-მა აღნიშნა, ერთხელ მაინც აქვს გასინჯული მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი), მოსწავლეთა 4% -ს ერთხელ მაინც გაუსინჯავს ექსტაზი, 2% -ს სიცოცხლის განმავალობაში ერთხელ მაინც გაუსინჯავს ამფეტამინი და კოკაინი.

კვლევის არასახარბიელო შედეგების ფონზე, დღეისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული ინფრასტრუქტურის ნაწილი არ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, ზოგ შემთხვევაში საერთოდ არ არსებობს იგი. საქართველოს კანონით „სპორტის

შესახებ“ ფიზიკური აღზრდისთვის კვირაში მინიმალურ სტანდარტად 4 საათს ადგენს. თუმცა, ეროვნულ სასკოლო სასწავლო გეგმაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებისთვის კვირაში 2 საათია დათმობილი. აღნიშნული მაჩვენებლით, საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. საფრანგეთში სპორტისთვის წლის განმავლობაში 108 საათია განსაზღვრული, ავსტრიაში 90-120, პოლონეთში 72-112 საათი და ა.შ. მოსწავლეების სპორტულ აქტივობებში სათანადო ინტენსივობით არ ჩართვამ შესაძლოა გაზარდოს მოსწავლეებში ის რისკ ფაქტორები, რომელიც დაკავშირებულია არასაკმარის ფიზიკურ დატვირთვასთან და სპორტის, როგორც ცხოვრების აუცილებელი ნაწილის გააზრებასთან. გარდა ამისა, „საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან მიმართებაში“ თანახმად, 12 სავარაუდო პრობლემიდან, გამოკითხულ რესპოდენტთა 77% პირველ რიგში ასახელებს არასკმარის დაფინანსებასა და 23.2 % სპორტული სექციების ნაკლებობას.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სასკოლო სპორტის გააქტიურების მიზნით, საჭიროა შეივსოს ის დანაკლისი, რაც ამჟამად არის სკოლებში. მხოლოდ სკოლა ვერ უზრუნველყოფს სრული სერვისის გაწევას, მასში მონაწილეობას უნდა იღებდეს ადგილობრივი თვითმმართველობაც.

2018 წლის მონაცემებით, ქალაქ ბათუმში 27 საჯარო და 18 კერძო სკოლაა, საერთო ჯამში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 31 502 მოსწავლეს. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ შესწავლილი იქნება აღნიშნულ სკოლებში სპორტის მიმართულებით არსებული მდგომარეობა და საჭიროებები. საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ხელს შეუწყობს სკოლის მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას, მოსწავლეების სპორტით დაინტერესებასა და სპორტულ აქტივობებში ჩართულობის გაზრდას სპორტული თამაშებით, სპორტთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებით, ლაშქრობებით, სკოლებს შორის შეჯიბრებების მოწყობით და სხვ.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქ. ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
- ✓ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მდგომარეობის კვლევა სპორტის მიმართულებით;
- ✓ სკოლებს შორის სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება;
- ✓ სკოლის მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული პროექტების ორგანიზება/მხარდაჭრა;
- ✓ სსსმ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების შესატყვისი სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებისთვის სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ✓ სკოლებს შორის მხიარული სტარტების ორგანიზება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			[illegible]	ზეგავლენა	რისკის ქულა		[illegible]	ზეგავლენა	რისკის ქულა

1.	სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქ. ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა	თანამშრომლობის სურვილის არ არსებობა	3	4	12	ქ. ბათუმის რესურსცენტრის წარმომადგენლების ჩართულობა და მხარდაჭერა	2	3	6
2.	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მდგომარეობის კვლევა სპორტის მიმართულებით	მოწოდებული ინფორმაციის უზუსტობა	3	4	12	მოწოდებული ინფორმაციის დეტალური შესწავლა და შესაბამისი კორექტირება	2	3	6
3.	სკოლებს შორის სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება	ღონისძიების დაბალი ხარისხი	2	3	6	ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებაში კვალიფიციური სპეციალისტების ჩართვა	1	2	2
4.	სკოლის მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული პროექტების ორგანიზება/მხარდაჭერა	ტრენერების ნაკლებობა	3	4	12	სკოლის უფროსკლასელების მომზადება და თანატოლგანმანათლებელთა საინფორმაციო კამპანიის წარმოება	2	2	4
5.	სსსმ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების შესატყვისი სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებისთვის სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსი	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესუსრსების მობილიზების მიზნით	2	2	4
6.	სკოლებს შორის მხიარული სტარტების ორგანიზება	ღონისძიების დაბალი ხარისხი	2	3	6	ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებაში კვალიფიციური სპეციალისტების ჩართვა	1	2	2

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ქალაქ ბათუმის რესურსცენტრი;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სკოლის მოსწავლეები;
- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ქალაქ ბათუმის რესურსცენტრი;
- საჯარო და კერძო სკოლები;
- მოხალისეები;
- აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი;
- ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;
ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“;
ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქ. ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მდგომარეობის კვლევა სპორტის მიმართულებით				x	x	x						
2019 - 2021	სკოლებს შორის სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება				x	x				x	x		
2020 - 2021	სკოლის მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული პროექტების ორგანიზება/მხარდაჭერა		x	x	x	x	x			x	x	x	x
2021	სსსმ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების შესატყვისი სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებისთვის სკოლების ინფრასტრუქტურის				x	x	x	x	x	x	x	x	x

	მოწყობა												
2020 - 2021	სკოლებს შორის მხიარული სტარტების ორგანიზება					x	x			x	x		

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- არსებობს ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო სკოლების მდგომარეობის კვლევა სპორტის მიმართულებით;
- სკოლებს შორის ჩატარებული სპორტული შეჯიბრებების რაოდენობა;
- სკოლებს შორის სპორტულ შეჯიბრებებში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ჩატარებული საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა;
- სსსმ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების შესატყვისი სარეაბილიტაციო პროგრამისთვის მოწყობილი ინფრასტრუქტურის რაოდენობა;
- სსსმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ სპორტული გაკვეთილების შესატყვისი სარეაბილიტაციო პროგრამით;
- სკოლებს შორის ჩატარებული მხიარული სტარტების რაოდენობა;
- მხიარულ სტარტებში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა.

1.3. საუნივერსიტეტო სპორტის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საუნივერსიტეტო სპორტის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად განვითარებულია საუნივერსიტეტო სპორტი, ხელშეწყობილია საუნივერსიტეტო სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება.

პროგრამის აღწერა

საუნივერსიტეტო სპორტი, მასობრივი სპორტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. რომელიც წარმოადგენს სტუდენტთა ფიზიკური და გონებრივი განვითარების, საერთაშორისო და ეროვნულ საუნივერსიტეტო შეჯიბრებებში მონაწილეობის და სპორტული შესაძლებლობების გამოვლენის საუკეთესო საშუალებას.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დასკვნით, ადამიანის ჯანმრთელობა და შესაბამისად, სიცოცხლის ხანგრძლივობა, 50 % - ით განისაზღვრება ცხოვრების წესით, თუ რამდენად მისდევს ის ცხოვრების ჯანსაღ წესს, 20 %-ით - გენეტიკური ფაქტორით, 20%-ით - ცხოვრების პირობებით (ეკოლოგია, კლიმატი, საცხოვრებელი ადგილი) და 10 % - ით ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობით. აღნიშნული მონაცემები მოწმობს მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობებში ჩართვის მნიშვნელობაზე. კვლევებით დადგენილია, რომ არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა, თამბაქოს მოხმარებასა და არასწორ კვებასთან ერთად, ნაადრევი სიკვდილიანობის და სხვადასხვა მძიმე დაავადებათა განმაპირობებელია. რეგულარული ფიზიკური აქტივობა კი მნიშვნელოვნად ამცირებს ისეთი დაავადებების რისკს, როგორებიცაა: კარდიოვასკულარული დაავადებები, დიაბეტი, მსხვილი ნაწლავისა და მკერდის კიბო. ჩვეულებრივ, კვლევებიდან ხშირად იკვეთება, რომ გამოკითხულ პირებს ხშირად არ გააჩნიათ მკაფიო წარმოდგენა, თუ რა მოცულობის აქტივობა არის საკმარისი დღის მანძილზე და ამდენად, არასწორად მიუთითებენ დროის არქონაზე არასაკმარისი ფიზიკური აქტივობის მიზეზად. ამ მხვრივ გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც მოსახლეობის 37% სწორედ ამ მიზეზს ასახელებს. ყურადსაღებია მაჩვენებლები, რაც მოსახლეობის მიერ ყველაზე ხშირად სახელდება, როგორც ფიზიკური აქტივობის ხელისშემშლელი გარემოება. აღნიშნულს შორის არის დრო (40%), ინტერესის არ ქონა (20.5%), ასაკი (18.3%). მხოლოდ ჩამოთვლილის მერე მცირე პროცენტში (5.2 % და ნაკლები) სახელდება ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა ბაზებისა და აღჭურვილობის არარსებობა და სხვა. აღნიშნული ცხადყოფს, რომ ხელისშემშლელი ფაქტორები ჩვეულებრივ სუბიექტურ ხასიათს ატარებს და უკავშირდება დამოკიდებულებას ან ინფორმირებულობის დაბალ მაჩვენებელს, მათ შორის ფიზიკური აქტივობისთვის საკმარისი დროისა და მეთოდების შესახებ. კითხვაზე თუ როგორ ატარებს თავისუფალ დროს, გამოკითხულთა მხოლოდ 8.2% მიუთითებს, რომ სპორტით არის დაკავებული, 6.9% დროს სეირნობას უთმობს, მაშინ როცა თავისუფალ დროს 41.1 % ტელევიზორთან, სახლში ატარებს. მეორეს მხვრივ, საყურადღებოა კვლევის ერთ-ერთი შედეგი, რომ ფიზიკური აქტივობით დაკავებულ პირთა უმეტესი ნაწილი გამაჯანსაღებელი ვარჯიშებითაა დაკავებული და არა სპორტის რომელიმე კონკრეტული სახეობით. ეს მონაცემი მოსახლეობის მხრიდან ფიზიკური აქტივობის მიმართ მაღალ ინტერესზე მიუთითებს. დღეის მდგომარეობით, შესწავლილი არ არის პროფესიულ და უმაღლეს საგნამანათლებლო საფეხურზე დაწესებულებებში არსებული სასპორტო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, გარდა ამისა, საგანმანათლებლო

დაწესებულება, აკრედიტაციის მისაღებად ვალდებული არ არის გააჩნდეს სპორტული ინფრასტრუქტურა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტული აქტივობები ძირითადად ამ სფეროში მოღვაწე სპორტული ორგანიზაციების მიერ ორგანიზდება წლის მანძილზე მიმდინარე შეჯიბრებების სახით.

ევროპის ქვეყნების მაგალითზე უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდა და სპორტი არ არის სავალდებულო, თუმცა სტუდენტების ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი მაღალია (70-75%). ეს განპირობებულია იმით, რომ სტუდენტების სპორტში ჩართულობა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან მაქსიმალურად არის წახალისებული, რომლის მთავარ კომპონენტს სტუდენტებისთვის სპორტული აქტივობისთვის გათვალისიწინებული კრედიტების სისტემა წარმოადგენს. საუნივერსიტეტო სპორტში არსებული პრობლემების მოგვარების გზა, საკრედიტო სისტემის შემოღების გარდა, დამოკიდებულია უნივერისტეტის ბაზებზე არსებული სპორტული ინფრასტრქუტურის მდგომარეობაზე, კვალიფიციური კადრებისა და ერთიანი სისტემის დანერგვაზე, რომელიც მოემსახურება საუნივერსიტეტო სპორტის მდგრადობასა და განვითარებას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით განახორციელოს ღონისძიებები მასობრივი სპორტის (მათ შორის საუნივერსიტეტო სპორტის) ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია განახორციელებს ბათუმის ტერიტორიაზე არსებული უმაღლეს და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგომარეობის კვლევას სპორტის მიმართულებით, ხელს შეუწყობს უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობას, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გუნდების სპორტული ინვენტარითა და ეკიპირებით აღჭურვას, ბათუმის ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მასობრივ სპორტში ჩართულობას. გარდა ამისა, ხელშეწყობილი იქნება ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული გუნდების მონაწილეობა საერთაშორისო და ეროვნულ საუნივერსიტეტო სპორტულ შეჯიბრებებში.

განსახორციელებელიღონისძიებები

- ✓ საუნივერსიტეტო სპორტის ხელშეწყობის მიზნით, ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
- ✓ ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგომარეობის კვლევა სპორტის მიმართულებით;
- ✓ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის მხარდაჭერა;
- ✓ უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გუნდების სპორტული ინვენტარითა და ეკიპირებით აღჭურვის ხელშეწყობა;
- ✓ უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტულ გუნდებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრებების ორგანიზება;
- ✓ საუნივერსიტეტო სპორტულ შეჯიბრებებში ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სპორტული გუნდების მონაწილეობის ხელშეწყობა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების	რისკის აღწერა	რისკის წონა	რისკის დაძლევის	რისკის წონა

	დასახელება		მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკი ქულა	ღონისძებები	მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	საუნივერსიტეტო სპორტის ხელშეწყობის მიზნით, ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა	თანამშრომლობის სურვილის არ არსებობა	3	4	12	ქ. ბათუმის განათლების, კულტურის, სპორტის სამინისტროს წარმომადგენლების ჩართულობა და მხარდაჭერა	2	3	6
2.	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგომარეობის კვლევა სპორტის მიმართულებით	მოწოდებული ინფორმაციის უზუსტობა	3	4	12	მოწოდებული ინფორმაციის დეტალური შესწავლა და შესაბამისი კორექტირება	2	3	6
3.	უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის მხარდაჭერა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით	2	2	4
4.	უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გუნდების სპორტული ინვენტარითა და ეკიპირებით აღჭურვის ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით	2	2	4

5..	უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტულ გუნდებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრებების ორგანიზება	შეჯიბრების ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	ვალდებულების შესრულებაზე მონიტორინგი	2	3	6
6.	საუნივერსიტეტო სპორტულ შეჯიბრებებში ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სპორტული გუნდების მონაწილეობის ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით	2	2	4

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ სტუდენტური გუნდები;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ უმაღლესი სასწავლებლები;
- ❖ სტუდენტური გუნდები;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონალური ხელისუფლება;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;
ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“;
ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	საუნივერსიტეტო სპორტის ხელშეწყობის მიზნით, ბათუმის			x	x	x	x	x	x	x	x	x	x

	ტერიტორიაზე მოქმედ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა												
2019-2020	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგომარეობის კვლევა სპორტის მიმართულებით				x	x	x						
2021	უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2021	უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გუნდების სპორტული ინვენტარითა და ეკიპირებით აღჭურვის ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტულ გუნდებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრებების ორგანიზება				x	x	x			x	x		
2020 - 2021	საუნივერსიტეტო სპორტულ შეჯიბრებებში ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სპორტული გუნდების მონაწილეობის ხელშეწყობა				x	x	x			x	x		

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტის მიმართულებით მდგომარეობის კვლევის დოკუმეტი;
- ❖ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოწყობილი სასპორტო ინფრასტრუქტურა;
- ❖ უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გუნდების რაოდენობა, რომლებიც აღჭურვილია სპორტული ინვენტარითა და ეკიპირებით;
- ❖ ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტულ გუნდებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩატარებული შეჯიბრებების რაოდენობა;
- ❖ ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტულ გუნდებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩატარებულ შეჯიბრებებში მონაწილე სტუდენტთა საერთო რაოდენობა;
- ❖ მერიის ხელშეწყობით ჩატარებული საუნივერსიტეტო სპორტული შეჯიბრებებისა და მასში მონაწილეთა რაოდენობა.

1.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურის ადაპტირების უზრუნველყოფა, ორგანიზებულ და არაორგანიზებულ მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის გაზრდა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პარასპორტით დაინტერესება და მონაწილეობის ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ადაპტირებულია მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურა. გაზრდილია მასობრივ სპორტულ აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის მაჩვენებელი და ხელშეწყობილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტზე ხელმისაწვდომობა. ხელშეწყობილია პარასპორტის განვითარება. გაზრდილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პარასპორტით დაინტერესება და ხელშეწყობილია მათი მონაწილეობა პარასპორტულ აქტივობებში.

პროგრამის აღწერა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვა სპორტში, სპორტული ვარჯიში და სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა მათი რეაბილიტაციისა და სოციალურ-შრომითი ადაპტაციის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტში ჩართვა მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტულ-ფიზიკურ აქტივობებს ორგანიზებული და არაორგანიზებული ფორმით. რაც ქმნის შესაძლებლობას უზრუნველყოფილი იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაცია. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მიხედვით, რომლის ხელმომწერი საქართველოცაა, შეზღუდული შეაძლებლობის მქონე პირთათვის დასვენების, თავისუფალი დროის გატარებისა და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის თანაბარი უფლების უზრუნველსაყოფად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, მათ შორის ზოგადი პროფილის სპორტულ ღონისძიებებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალური მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით. ასევე, იღებენ ვალდებულებას განახორციელონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაძლებლობის გათვალისიწინებით სპეციფიკური სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ფიზიკური და სპორტული აქტივობის განხორციელების მიმართულებით ბევრ ბარიერს აწყდებიან. ამის მაგალითია: არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა სპორტულ ობიექტებზე, არაადაპტირებული მასობრივი სპორტული ღონისძიებები, სპეციალიზებული, კვალიფიციური მწვრთნელებისა და ინსტრუქტორების ნაკლებობა.

საქართველომ 2014 წლიდან მოახდინა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის“ რატიფიკაცია, და აღნიშნულ კონვენციაში ცალკე მუხლადაა გაწერილი სპორტის სფეროში ჩამოთვლილი პრობლემების დაძლევის ვალდებულება სახელმწიფოებისთვის, ეს კიდევ უფრო ზრდის ქმედითი მექანიზმების შემუშავების მნიშვნელობას. პრობლემები სრულად ვერ აღმოიფხვრება თუ საჯარო სივრცეები ისევ პრობლემურად დარჩება გადაადგილებისთვის, რა ნაწილშიც ადგილობრივ თვითმმართველობას უდიდესი როლი აკისრია. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ხელშეწყობილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირთა ჩართვა სპორტში, მწვრთნელებისა და სპეციალისტების მომზადება და ხელშეწყობა სკოლებსა და ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპეციალური აღჭურვილობით უზრუნველყოფასა და ადაპტირებული გარემოს შექმნაზე. გარდა ამისა. შემუშავებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირთა მონაცემთა ბაზა, ვისაც აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტულ ღონისძიებებში. ამავდროულად, შესწავლილი იქნება ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი სპორტული ობიექტების მდგომარეობა ადაპტირების თვალსაზრისით და გატარდება ღონისძიებები მათი ადაპტირების კუთხით.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის მსურველ შშმ პირთა მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ✓ ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი მუნიციპალური სპორტული ობიექტების მდგომარეობის შესწავლა და მათი ადაპტირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
- ✓ მწვრთნელებისა და დამხმარე სპეციალისტთა მომზადება/გადამზადების მხარდაჭერა;
- ✓ შშმ პირთა სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
- ✓ პარასპორტის კლუბის შექმნა და ფუნქციონირება (სივრცის გამოყოფა, საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა და სპეციალისტებით დაკომპლექტება);
- ✓ საცხენოსნო, ფეხბურთის, წყალბურთისა და ჭადრაკის კლუბებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით სერვისის შეთავაზება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			ძიდეხის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		ძიდეხის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის მსურველ შშმ პირთა მონაცემთა ბაზის შექმნა	შშმ პირთა მხრიდან დაბალი ინტერესი	3	4	12	მიზნობრივ ჯგუფებთან წინასწარი საინფორმაციო შეხვედრების გამართვა	2	3	6
2.	ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი მუნიციპალური სპორტული ობიექტების მდგომარეობის შესწავლა და მათი ადაპტირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესუსრსების მობილიზების მიზნით	2	2	4

3.	მწვრთნელებისა და დამხმარე სპეციალისტთა მომზადება/გადამზადების მხარდაჭერა	გადამზადების ხარისხი	3	4	12	გადასამზადებელი კურსის პროგრამის შერჩევა და მონიტორინგი	2	3	6
4.	შშმ პირთა სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფა	მონაცემთა ბაზის არ ქონა; ტრანსპორტირების უსაფრთხოება	4	5	20	მონაცემების დამუშავება; სატრანსპორტო კომპანია წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის დამადასტურებელ საბუთს	2	3	6
5.	პარასპორტის კლუბის შექმნა და ფუნქციონირება	მონაცემთა ბაზის არ ქონა; კვალიფიციური სპეციალისტების არ არსებობა და ფინანსური რესურსის არ ქონა.	4	5	20	ბაზის დამუშაება; კვალიფიციური კადრების შერჩევა; ფინანსური რესურსის მოძიება	2	3	6
6.	საცხენოსნო, ფეხბურთის, წყალბურთისა და ჭადრაკის კლუბებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით სერვისის შეთავაზება	შეზღუდული ფინანსური რესურსი; გაუმართავი ინფრასტრუქტურა; კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა	4	5	20	ფინანსური რესურსის მოძიება; კვალიფიციური კადრების შერჩევა	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სპორტული კლუბები;
- ❖ ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართულიმხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ სპორტული კლუბები;
- ❖ ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის

სამსახური;
ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019	სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის მსურველ შშმ პირთა მონაცემთა ბაზის შექმნა				x	x	x						
2020-2021	ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი მუნიციპალური სპორტული ობიექტების მდგომარეობის შესწავლა და მათი ადაპტირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2021	მწვრთნელებისა და დამხმარე სპეციალისტთა მომზადება/გადამზადების მხარდაჭერა							x	x	x	x	x	x
2020-2021	შშმ პირთა სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2021	პარასპორტის კლუბის შექმნა და ფუნქციონირება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	საცხენოსნო, ფეხბურთის, წყალბურთისა და ჭადრაკის კლუბებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით სერვისის შეთავაზება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის მსურველ შშმ პირთა მონაცემთა ბაზა;
- მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ადაპტირებული სპორტული ობიექტების რაოდენობა;
- გადამზადებულ მწვრთნელებისა და დამხმარე სპეციალისტთა რაოდენობა;
- სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის ტრანსპორტირებით მოსარგებლე პირების რაოდენობა;
- შექმნილია პარასპორტის კლუბი;
- პარასპორტის კლუბში ჩართული პირების რაოდენობა.

1.5. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების სპორტზე ხელმისაწვდომობა და დანაშაულის პრევენცია

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რესოციალიზაციის ხელშეწყობა, დანაშაულის რისკის ქვეშ მყოფ ახალგაზრდებსა და მოზარდებში აგრესიის დაძლევა სპორტულ აქტივობებში ჩართულობით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ხელშეწყობილია კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რესოციალიზაციისთვის სპორტული აქტივობების ორგანიზება. გაზრდილია პრობაციონერთა ჩართვა მასობრივი სპორტის ღონისძიებებში.

პროგრამის აღწერა

კანონთან კონფლიქტში და რისკის ქვეშ მყოფი პირების სოციალიზაცია ყველაზე შედეგიანი მიდგომაა დანაშაულის პრევენციისა და სოციალური ინტეგრაციისთვის. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დელიქვანტური ქცევის პრევენციის შესახებ მიუთითებს, რომ სოციალური ნორმებიდან გადახვევა უფრო ხშირად არასრულწლოვანის ზრდისა და განვითარების პროცესის ნაწილია. უმრავლეს შემთხვევაში, ეს ტენდენცია ქრება ზრდასრულობის მიღწევისთანავე. უმეტესობა მოზარდებისა, რომლებიც ანტისოციალური ქცევით ხასიათდებიან, ზრდასრულ ასაკში აღარ ამჟღავნებენ ამგვარ ქცევას, აქედან გამომდინარე, დანაშაულის ადრეული პრევენცია, მათ შორის რისკ ჯგუფებთან მუშაობა, სამართალდამრღვევი არასრულწლოვნების რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამების დანერგვა ძალზე მნიშვნელოვანია. გამომდინარე იქიდან, რომ მოზარდთა დიდი ნაწილისთვის სოციალური ქცევისადმი მიდრეკილება დროებითი ფენომენია მისი მართვა შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა უწყებების პროგრამული მიდგომებით, რათა კანონთან კონფლიქტში მყოფ და რისკ ჯგუფებზე გაწეული იქნას შესაბამისი სახის დახმარება, მომავალში მათი მხრიდან დანაშაულისა და ანტისოციალური ქმდებების თავიდან არიდების მიზნით. სოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სპორტის სფეროს გამოყენებაა. სპორტში ჩართულობა ხელს უწყობს იმდაგვარი ფასეულობების ჩამოყალიბებას, როგორიცაა მოწინააღმდეგის პატივისცემა, წაგების ღირსეულად მიღება, ურთიერთმხარდაჭერა და გუნდური სულისკვეთება. გამომდინარე იქიდან, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული რთული ფენომენია, შესაბამისად, არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, განახორციელებს ღონისძიებებს, მათ შორის პრობაციის სამსახურთან თანამშრომლობით და ხელს შეუწყობს პრობაციონერთა სპორტული აქტივობების განვითარებას, ტერიტორიულ ერთეულებს შორის სპორტული შეჯიბრებების მოწყობას და სხვ.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ პრობაციონერთა მასობრივ სპორტში ჩართვის მიზნით, აჭარის პრობაციის ბიუროსთან თანამშრომლობა;
- ✓ პრობაციონერთა სპორტული ინტერესების კვლევა;
- ✓ პრობაციონერების მონაწილეობით სპორტული ღონისძიებების ორგანიზება;
- ✓ ტერიტორიულ ერთეულებს შორის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სპორტული შეჯიბრებების მოწყობა;
- ✓ საცხენოსო, ფეხბურთის, ჭადრაკის, ხელბურთის, წყალბურთის, რაგბის, ფრენბურთის

კლუბებში სამოყვარული გუნდების ჩამოყალიბება და მათში პრობაციონერთა და რისკ ჯგუფის წევრების ჩართვა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	პრობაციონერთა მასობრივ სპორტში ჩართვის მიზნით, აჭარის პრობაციის ბიუროსთან თანამშრომლობა	თანამშრომლობის სურვილის არ არსებობა	3	4	12	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლების ჩართულობა და მხარდაჭერა	2	3	6
2.	პრობაციონერთა სპორტული ინტერესების კვლევა	დაბალი ინტერესი	3	4	12	სპორტის მნიშვნელობის შესახებ მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირებულობა	2	3	6
3.	პრობაციონერების მონაწილეობით სპორტული ღონისძიებების ორგანიზება	დაბალი ინტერესი; ღონისძიების დაბალი ხარისხი	4	5	20	მიზნობრივ ჯგუფებთან წინასწარი შეხვედრების მოწყობა, ღონისძიების ორგანიზებაზე ზედამხედველობა	3	3	9
4.	ტერიტორიულ ერთეულებს შორის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება	დაბალი ინტერესი; ღონისძიების დაბალი ხარისხი	4	5	20	მიზნობრივ ჯგუფებთან წინასწარი შეხვედრების მოწყობა, შეჯიბრებების ორგანიზებაზე ზედამხედველობა	3	3	9
5.	საცხენოსო, ფეხბურთის, ჭადრაკის, ხელბურთის, წყალბურთის, რაგბის, ფრენბურთის კლუბებში სამოყვარული გუნდების ჩამოყალიბება და მათში პრობაციონერთა ჩართვა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მოძიება	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“;
- ❖ აჭარის პრობაციის ბიურო;
- ❖ მერიის სპორტული კლუბები;
- ❖ პრობაციონერები.
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა,

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონალური ხელისუფლება;
- ❖ ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი;
- ❖ აჭარის პრობაციის ბიურო;
- ❖ მერიის სპორტული კლუბები;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;
ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	პრობაციონერთა მასობრივ სპორტში ჩართვის მიზნით, აჭარის პრობაციის ბიუროსთან თანამშრომლობა				x	x	x	x	x	x	x	x	x
2019	პრობაციონერთა სპორტული ინტერესების კვლევა							x	x	x			
2020-2021	პრობაციონერების მონაწილეობით სპორტული ღონისძიებების ორგანიზება				x	x	x			x	x	x	
2020-2021	ტერიტორიულ ერთეულებს შორის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება				x	x	x			x	x	x	
2020-2021	საცხენოსო, ფეხბურთის, ჭადრაკის, ხელბურთის, წყალბურთის, რაგბის, ფრენბურთის კლუბებში სამოყვარული გუნდების ჩამოყალიბება და მათში პრობაციონერთა და რისკ ჯგუფის წევრების ჩართვა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ პრობაციონერების სპორტული ინტერესების კვლევის დოკუმენტი;
- ❖ პრობაციონერების მონაწილეობით ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- ❖ ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებში პრობაციონერების რაოდენობა;
- ❖ ტერიტორიულ ერთეულებს შორის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ჩატარებული სპორტული შეჯიბრებების რაოდენობა;

- ტერიტორიულ ერთეულებს შორის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ჩატარებულ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილე პირთა რაოდენობა;
- საცხენოსნო, ფეხბურთის, ჭადრაკის, ხელბურთის, წყალბურთის, რაგბის, ფრენბურთის კლუბების სერვისებით მოსარგებლე პრობაციონერთა და რისკ ჯგუფის წევრების რაოდენობა.

1.6. ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა/სპორტული ვაუჩერის დანერგვა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია 5-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის უნარების დაუფლება და სპორტით დაინტერესება, სპორტულ სექციებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაზრდილია 5-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული სექციებით სარგებლობის მაჩვენებელი, რაც თავის მხვრივ დადებითად აისახება ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობასა და ფიზიკურ განვითარებაზე.

პროგრამის აღწერა

ადამიანის ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფიზიკური ვარჯიში და სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ჩართულობა.

დღესდღეობით ქვეყნის სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად ვერ სთავაზობენ აღსაზრდელსა და მოსწავლეებს ფიზიკური განვითარებისათვის შესაბამის გარემოსა და სივრცეებს, ასევე მუნიციპალური სკოლისგარეშე სასპორტო დაწესებულებები და მათში სპორტული სექციების რაოდენობა მცირეა, გარდა ამისა, მოსახლეობის ზოგადი სოციალური ფონიც ცხადყოფს, რომ მშობლებს არა აქვთ შესაბამისი ეკონომიკური შესაძლებლობები იზრუნონ თავიანთი შვილების სპორტის სახეობებში ჩართვაზე. აღნიშნული პრობლემის მუნიციპალიტეტის დონეზე გადაჭრის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ხორციელდება პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ბათუმის მერიის მიერ დაფუძნებულ კლუბებში (საფეხბურთო კლუბი „დინამო ბათუმი“, ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“, საკალათბურთო კლუბი „ბათუმი“, ხელბურთის კლუბი „ბათუმი“, სარაგბო კლუბი „ბათუმი“, წყალბურთის კლუბი „ბათუმი“, საჭადრაკო კლუბი „ნონა“) ჩარიცხულ ბავშვთა და მოზარდთა სპორტის სასურველ სახეობებში ჩართულობას, მათი ნიჭიერების, სპორტული უნარ-ჩვევების გამოვლენასა და განვითარებას. ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხსენებული სპორტული კლუბების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული კლუბებში ჩარიცხულ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული ეკიპირება, კლუბებში მწვრთელების გადამზადება და სხვ.

სამომავლოდ, სპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მას შემდეგ რაც განისაზღვრება სპორტული ობიექტის ტექნიკური რეგლამენტი და მოხდება სპორტული ორგანიზაციების დადგენილი წესით აღიარება, გეგმავს სპორტული ვაუჩერიზაციის მოდელის შემოღებას. ვაუჩერიზაციის განსახორციელებლად, ბათუმში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების შესწავლის მიზნით, ჩატარდება სპეციალური კვლევები, თუ რამდენად აკამყოფილებენ ისინი თანამედროვე სტანდარტებს, ასევე დადგინდება სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩართვის მსურველთა (5-დან 18 წლამდე ბავშვთა, მოზარდთა) რაოდენობა. კვლევების საფუძველზე, მუნიციპალიტეტი არა მხოლოდ მერიის მიერ დაფუძნებულ კლუბებში, არამედ ქალაქში არსებულ სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებში/დაწესებულებებში განახორციელებს 5-18 წლის ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების დაფინანსებას (ვაუჩერიზაციას).

ვაუჩერების სისტემა, გულისხმობს სპორტული ორგანიზაციების/დაწესებულებების (*სამართლებრივი ფორმის მიუხედავად*) დაფინასებას ბავშვთა, მოზარდთა რაოდენობის მიხედვით. ვაუჩერი, მუნიციპალიტეტის მიერ ბავშვზე, მოზარდზე გამოყოფილი თანხაა და

მასზე იქნება მიბმული. შესაბამისად, რომელ სპორტულ ორგანიზაციაშიც/დაწესებულებაშიც მეტი ბავშვი/მოზარდი იქნება, იმ დაწესებულებას მეტი დაფინანსება ექნება. ვაუჩერული დაფინანსება სპორტულ ორგანიზაციებს/დაწესებულებებს შორის კონკურენციის საფუძველს შექმნის, რის ხარჯზეც გაუმჯობესდება სპორტულ ორგანიზაციათა/დაწესებულებათა ინფრასტრუქტურა, საწვრთნელი პროცესი, პერსონალის კვალიფიკაცია და სხვ. ვაუჩერული დაფინანსებისას სპორტული ორგანიზაციები/დაწესებულებები შეეცდებიან, მეტი ბავშვი მიიზიდონ, რაც გაზრდის სპორტზე ხელმისაწვდომობას და მინიმუმამდე დაიყვანს სპორტის მიღმა დარჩენილ ბავშვთა რაოდენობას.

ვაუჩერიზაციის მოდელის ამოქმედება ხელს შეუწყობს ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტულ აქტივობებში ჩართულობას, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და შენარჩუნებას, მათ ფიზიკურ განვითარებას, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას, სპორტული აქტივობების მეშვეობით აგრესიის დაძლევას, გუნდურ სულისკვეთებას, მოწინააღმდეგის პატივისცემას, მარცხის ღირსეულად მიღების უნარს. სპორტზე მეტი დროის დათმობით ნაკლებ დროს დაუთმობენ კომპიუტერულ თამაშებს, თავიდან იქნება არიდებული ისეთი ტიპის დაავადებები როგორიცაა სკოლიოზი, ფიზიკური განვითარების შეფერხება, ალკოჰოლის, ნარკოტიკისა და სხვა მავნე ჩვევებისადმი მიდრეკილება.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული კლუბების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
- ✓ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული კლუბებში ჩარიცხულ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული ეკიპირება;
- ✓ მერიის დაფინანსებაზე მყოფ კლუბებში მწვრთნელების გადამზადება;
- ✓ სპორტულ აქტივობებში ჩართვის მსურველთა რაოდენობის დადგენა;
- ✓ ქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შესწავლა;
- ✓ ვაუჩერიზაციის მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;
- ✓ სპორტული ვაუჩერის მოდელის დანერგვა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკისწონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკისქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული კლუბების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება	ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება	2	4	8	კონსულტაციები კონტრაქტორ კომპანიებთან, კანონით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება	1	3	3

		შესრულებული სამუშაოების დაბალი ხარისხი	2	4	8	მუდმივი ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება	2	3	6
2.	ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული კლუბებში ჩარიცხულ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული ეკიპირება	ვალდებულების დაგვიანებით და დაბალი ხარისხით შესრულება	2	4	8	მუდმივი ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება	2	3	6
3.	მერიის დაფინანსებაზე მყოფ კლუბებში მწვრთნელების გადამზადება	არაკვალიფიციური ტრენერების შერჩევა	3	4	12	სწორი ტექნიკური პირობების ჩამოყალიბება მწვრთნელთა გადამზადების მიზნით	2	2	4
4.	სპორტულ აქტივობებში ჩართვის მსურველთა რაოდენობის დადგენა	მონაცემთა არასრული ბაზა	2	2	4	მონაცემთა ბაზის დაზუსტება	1	2	2
5.	ქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შესწავლა	მონაცემთა არასრული ბაზა	2	2	4	მონაცემთა ბაზის დაზუსტება	1	2	2
6.	ვაუჩერიზაციის მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება	უკმაყოფილების გამოხატვა საზოგადოების მხრიდან	3	4	12	პერიოდული შეხვედრების გამართვა მიზნობრივ ჯგუფებთან მათი ინფორმირების მიზნით	1	2	2
7.	სპორტული ვაუჩერის მოდელის დანერგვა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	4	5	20	ფინანსური რესურსების მოძიება	3	3	9

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ქალაქში მოქმედი სპორტული ორგანიზაციები;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოები;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

დაფინანსებაზე მყოფი სპორტული კლუბები;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა
- ❖ დაფინანსებაზე მყოფი სპორტული კლუბები;
- ❖ ქალაქში მოქმედი სპორტული ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;
ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული კლუბების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული კლუბებში ჩარიცხულ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული ეკიპირება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020-2021	მერიის დაფინანსებაზე მყოფ კლუბებში მწვრთნელების გადამზადება				x	x	x						
2019	სპორტულ აქტივობებში ჩართვის მსურველთა რაოდენობის დადგენა				x	x	x						
2019	ქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შესწავლა				x	x	x						
2019	ვაუჩერიზაციის მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება							x		x	x		
2020 - 2021	სპორტული ვაუჩერის მოდელის დანერგვა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული კლუბების რაოდენობა, სადაც განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ❖ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული კლუბების რაოდენობა, სადაც განხორციელდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული ეკიპირება;
- ❖ გადამზადებულ მწვრთნელთა რაოდენობა;
- ❖ სპორტულ აქტივობებში ჩართვის მსურველთა ბაზა;

- ვაუჩერიზაციის მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა;
- ვაუჩერით მოსარგებლეთა რაოდენობა.

სტრატეგიული მიმართულება 2

ცნობიერების ამაღლება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და სპორტის პოპულარიზაცია

2.1. სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
2.2. საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა.

2.1. სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება და საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამების განხორციელება სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელოვნების შესახებ.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ბავშვები, მოზარდები და ახალგაზრდები ინფორმირებულნი არიან და გააზრებული აქვთ სპორტისა და ჯანსაღი წესით ცხოვრების მნიშვნელობა და სიკეთეები. მათ აქვთ ცოდნა და უნარები იმისთვის, რომ დაკავდნენ სპორტით და ფიზიკური ვარჯიშით, არ იყვნენ დამოკიდებულნი ალკოჰოლზე, ნარკოტიკსა და თამბაქოს მიღებაზე.

პროგრამის აღწერა

საქართველოს სოციალური და მარკეტინგული კვლევების ცენტრმა 2013 წელს ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის ინტერესების, მოთხოვნილებების, მოტივაციის, ჩვევების, საქმიანობისა და თავისუფალი დროის განაწილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. კვლევით დადასტურდა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი (70%-ზე მეტი) საერთოდ არ არის დაკავებული ფიზიკური აქტივობით. რაც იმაზეც მეტყველებს, რომ მოსახლეობის ცნობიერება ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ დაბალია. იგივე კვლევაში, მოსახლეობის სპორტული აქტივობის შესაფასებლად რესპოდენტთა პასუხების შესაბამისად, გამოყოფილია სპორტული აქტივობის 4 კატეგორია: მაღალი, საშუალო, დაბალი და არააქტიური. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (69%) სწორედ სპორტულად არააქტიურ კატეგორიაზე დაფიქსირდა, რაც სპეციალისტების შეფასებით უარყოფითი ფაქტია და აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლის შესამცირებლად ბევრი მუშაობაა საჭირო. იმ პირთა კატეგორია, რომელიც აერთიანებს ისეთ ახალგაზრდებს რომლებიც არ სწავლობენ, არ მუშაობენ და არ არიან ჩართულნი რაიმე რეგულარულ აქტივობაში, შეიძლება აერთიანებდეს სამსახურის მაძიებელ პირებს, საშუალო განათლების მიღების შემდეგ პირებს, რომელებიც არ/ვერ ჩაერთნენ რაიმე ტიპის რეგულარულ აქტივობაში, მზრუნველობამოკლებულ პირებს, სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსულ ახალგაზრდებს და სხვა. პირთა ეს ჯგუფი განსაკუთრებული ყურადღების სფეროში ექცევა მომეტებული საფრთხიდან გამომდინარე, რადგან ზედმეტად ბევრი თავისუფალი დრო, ასევე დაუსაქმებლობის მაღალი მაჩვენებელი, გარემოში არსებული ასოციალური ჩვევები უბიძგებს მათ ჩაერთონ სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში, გაიჩინონ ან გაიუარესონ არაჯანსაღი ქცევები, როგორიცაა თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარება და სხვა. საქართველოში დღეის მდგომარეობით, პირველ კატეგორიას ახალგაზრდების დაახლოებით 21% მიეკუთვნება.
აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პირთა ამ ჯგუფის მიმართ განსხვავებული ძალისხმევის გამოჩენა სპორტში ჩართულობის მიზნით. ასევე ყურადსაღებია, რომ გარდა ემპირიულად დამადასტურებელი კვლევებისა, თავად მოსახლეობა (83 %) მიიჩნევს, რომ სპორტში ჩართვა ბავშვებსა და ახალგაზრდებს განარიდებს მავნე ზეგავლენის გარემოდან როგორიცაა თამბაქოს, ალკოჰოლის, ნარკოტიკების მოხმარება და კრიმინალური გარემო. მასობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარება და მისი სიხშირე ყველაზე მეტად პასუხობს მოსახლეობის სპორტული ცხოვრებით დაინტერესების მიზანს. შესაბამისად, იგი ზრდის სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის რიცხვს, რაც ხელს

უწყობს სპორტის, როგორც ფიზიკური განვითარებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშემწყობი სფეროს პოპულარობას, რაც თავის მხვრივ ქმნის საფუძველს მაღალი მიღწევების სპორტისთვისაც.

სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელოვნებაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს, სკოლამდელი აღზდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას, წარმატებულ სპორტსმენებთან და მწვრთნელებთან ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების შეხვედრების ორგანიზებას, საინფორმაციო ვიდეო კლიპებისა და საინფორმაციო ბუკლეტების დამზადებას, სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი, კულტურული, სპორტული ღონისძიებების განხორციელებას/მხარდაჭერას და სხვ.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლამდელი აღზდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
- ✓ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში, სკოლებში, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია საინფორმაციო კამპანიებით, რომლებშიც ჩართული იქნებიან მოხალისეები;
- ✓ წარმატებულ სპორტსმენებთან (მაგ. სპორტის სხვადასხვა სახეობებში ოლიმპიურ, მსოფლიო, ევროპის, საქართველოს ჩემპიონებთან და პრიზიორებთან), ხელოვნების დარგის წარმომადგენლებთან, საჯარო მოხელეებთან და სხვ. ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების შეხვედრების ორგანიზება;
- ✓ საინფორმაციო ვიდეო კლიპებისა და საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება;
- ✓ სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი, კულტურული, სპორტული ღონისძიებების განხორციელება/მხარდაჭერა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულებებ თან თანამშრომლობა	თანამშრომლო ბის სურვილის არ არსებობა	3	4	12	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის, სპორტის სამინისტროსა და ქ. ბათუმის რესურსცენტრის წარმომადგენლების ჩართულობა და მხარდაჭერა	2	3	6

2.	საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია საინფორმაციო კამპანიებით, რომლებშიც ჩართული იქნებიან მოხალისეები	დაბალი ინტერესი	3	4	12	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის, სპორტის სამინისტროსა და ქ. ბათუმის რესურსცენტრის წარმომადგენლების ჩართულობა და მხარდაჭერა	2	3	6
3.	წარმატებულ სპორტსმენებთან, ხელოვნების დარგის წარმომადგენლებ თან, საჯარო მოხელეებთან და სხვ. ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების შეხვედრების ორგანიზება	დაბალი ინტერესი	3	4	12	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის, სპორტის სამინისტროსა და ქ. ბათუმის რესურსცენტრის წარმომადგენლების ჩართულობა და მხარდაჭერა	2	3	6
4.	საინფორმაციო ვიდეო კლიპებისა და საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება	ვალდებულების დაგვიანებით და დაბალი ხარისხით შესრულება	2	4	8	მუდმივი ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება	2	3	6
5.	სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი, კულტურული, სპორტული ღონისძიებების განხორციელება/ მხარდაჭერა	ვალდებულების დაგვიანებით და დაბალი ხარისხით შესრულება	2	4	8	მუდმივი ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ბათუმში მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ცენტრალური ხელისუფლება;
- რეგიონალური ხელისუფლება;
- ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“;
- ბათუმში მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- წარმატებული სპორტსმენები, ხელოვანები, საჯარო მოხელეები და სხვ.
- არასამთავრობო ორგანიზაციები;

- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;
ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულებებ თან თანამშრომლობა		X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019- 2021	საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია საინფორმაციო კამპანიებით, რომლებშიც ჩართული იქნებიან მოხალისეები				X	X	X	X		X	X		
2019 - 2021	წარმატებულ სპორტსმენებთან, ხელოვნების დარგის წარმომადგენლებ თან, საჯარო მოხელეებთან და სხვ. ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების შეხვედრების ორგანიზება				X	X	X			X	X		
2020 - 2021	საინფორმაციო ვიდეო კლიპებისა და საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება			X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2020 - 2021	სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი, კულტურული, სპორტული ღონისძიებების განხორციელება/ მხარდაჭერა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში, სკოლებში, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში, სკოლებში,

პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა;

- წარმატებულ სპორტსმენებთან, ხელოვნების დარგის წარმომადგენლებთან, საჯარო მოხელეებთან და სხვ. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა;
- წარმატებულ სპორტსმენებთან, ხელოვნების დარგის წარმომადგენლებთან, საჯარო მოხელეებთან და სხვ. ჩატარებულ შეხვედრებში დამსწრე ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების რაოდენობა;
- დამზადებული საინფორმაციო ვიდეო კლიპებისა და საინფორმაციო ბუკლეტების რაოდენობა;
- ჩატარებული სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი, კულტურული, სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- ჩატარებული სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემეცნებით, კულტურულ, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე პირთა რაოდენობა.

2.2. საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებისა და სპორტსმენების სპორტული ოსტატობის დონის ამაღლების ხელშეწყობა. საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მეშვეობით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ქალაქისა და ქვეყნის პოპულარიზაცია.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ხელშეწყობილია საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები, რის საფუძველზეც განვითარებულია სპორტის სხვადასხვა სახეობა და სპორტსმენების კვალიფიკაციის დონე, სპორტული ტურიზმი და ამაღლებულია ქალაქისა და ქვეყნის ცნობადობა.

პროგრამის აღწერა

ბათუმი შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული დანიშნულების ადგილია. ქალაქი უკანასკნელი წლების განმავლობაში განსაკუთრებული ინტესიურობით ვითარდება, ის კულტურული და სპორტული ღირშესანიშნაობებისა და საერთაშორისო ღონისძიებების ცენტრია.

ბათუმის, როგორც ტურისტული ქალაქისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სახის სპორტული ღონისძიებების ჩატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვასა და ტურიზმის განვითარებას. ამავდროულად ქალაქში გააქტიურდება სპორტული ცხოვრება, განვითარდება სპორტის სხვადასხვა სახეობა.

ბათუმი სპორტული ტრადიციებითაა მდიდარი და ქალაქს უმაღლესი დონის შეჯიბრებების მიღების ბრწყინვალე გამოცდილება აქვს: განვლილ წლებში ბათუმში გაიმართა ევროპის პირველი ჩემპიონატი ქალთა შორის ჭადრაკში, მშვილდოსნობაში ევროპის თასის ფინალური ეტაპი ახალგაზრდებს შორის, მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობა ქვიშაზე, ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი ქვიშის ხელბურთში. ქალაქში ყოველწიურად ტარდება მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით სხვადასხვა სპორტული ტურნირები.

2018 წელს ბათუმში საჭადრაკო სამყაროში უმნიშვნელოვანესი და ყველაზე მასშტაბური ღონისძიება - საჭადრაკო ოლიმპიადა ჩატარდა, რომელშიც FIDE-ს წევრი 189 ქვეყნის ვაჟთა და ქალთა ნაკრებმა ითამაშა და მასში 4000-მდე მოჭადრაკემ და სხვა ოფიციალურმა პირმა მიიღო მონაწილეობა.
2018 წლის ივლისში ACES Europe-მა (ევროპის დედაქალაქებისა და ქალაქების სპორტის ფედერაციამ) ბათუმს 2019 წლის ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსი მიანიჭა. მიღებული სტატუსი ადასტურებს, რომ ბათუმი ეტაპობრივად ყალიბდება როგორც მნიშვნელოვანი სპორტული ცენტრი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ზრუნავს რათა გაზარდოს ბათუმის, როგორც საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის ცნობადობა და როლი როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის, როგორც ქალაქის ერთ - ერთი მაპროფილებელი მიმართულების განვითარებას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კონკურსის წესით შერჩეული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა. პროგრამა ხელს უწყობს სპორტული ტურიზმის განვითარებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ქალაქის ცნობადობის ამაღლებას, ადგილობრივი სპორტსმენების კვალიფიკაციის ზრდას, მათი რეიტინგული მონაცემების ამაღლებას, რაც საბოლოოდ ბათუმელ სპორტსმენების მისცემს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ მაღალი რეიტინგის მქონე სპორტულ ტურნირებსა და ჩემპიონატებში.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების შესარჩევად კონკურსის ორგანიზება;
- ✓ საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების შესარჩევად კონკურსის ორგანიზება	--------- სპორტული ღონისძიებების შერჩევა	3	4	12	კომისიის წევრებად კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა	2	3	6
2.	საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	ღონისძიების ორგანიზატორის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შერულება	3	4	12	შესასრულებელი სამუშაობის განხორციელებისას მონიტორინგის გაძლიერება	2	3	6
		კლიმატური პირობები (აქტივობების ღია ცის ქვეშ განხორცილების შემთხვევაში)	4	5	20	ალტერნატიული ლოკაციის მოძიება ღონისძიების ჩატარებისათვის	2	2	4

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სპორტული ორგანიზაციები;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონალური ხელისუფლება
- ❖ სპორტული ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელიღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების შესარჩევად კონკურსის ორგანიზება						x	x	x	x			
2019-2021	საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები
- ❖ შერჩეული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- ❖ მონაწილე სპორტული სუბიექტების რაოდენობა.

სტრატეგიული მიმართულება 3

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა

3.1. სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია.

3.1. სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და ახალი, თანამედროვე სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად რეაბილიტირებულია და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაშია მოყვანილი სპორტული ინფრასტრუქტურა.

პროგრამის აღწერა

სპორტულ ცხოვრებაში და მასობრივ სპორტში მოსახლეობის ჩართულობა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა წარმოუდგენელია მოწესრიგებული და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობილი ინფრასტრუქტურისა და სპორტული ბაზების გარეშე. ქალაქ ბათუმში, ისევე როგორც ქვეყნის მასშტაბით, მდგომარეობა ამ მხვრივ სახარბიელო ნამდვილად არ არის. სპორტული ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია, როგორც მუნიციპალურ სპორტულ დაწესებულებებში, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში, საგანმანათლებლო სივრცეებში. ობიექტების უმეტესი ნაწილი აშენებულია საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით ეს ეხება ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს. რაც შეეხება მასობრივი ხასიათის სპორტულ ობიექტებს, მიუხედავად იმისა, რომ წლებია ქალაქის მასშტაბით მოეწყო ათეულობით მინი სპორტული მოედანი, მაინც არასაკმარისია მათი რაოდენობა. თითქმის არ არსებობს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სპორტული ინფრასტრუქტურა, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის უმრავლესობა სარეაბილიტაცია და საჭიროებს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან მიმართებაში, რომელიც საქართველოში ბოლო წლებში ჩატარდა, კითხვაზე თუ რა უშლის ხელს დღეს სპორტის განვითარებას, არასაკმარის დაფინანსებასა და სპორტულ სექციებთან ერთად კვლევაში ჩართული ადამიანების უდიდესი ნაწილი პრობლემას ინფრასტრუქტურაში ხედავს. მოსახლეობა სპორტის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორად ასახელებს სპორტული ბაზებისა და მოედნების არ არსებობას და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობას. გარდა ამისა, საქართველოს მასშტაბით 550-დე სპორტული ობიექტია, რომელთა შორის დაახლოებით 40% საჭიროებს განახლებასა და რეაბილიტაციას. აღნიშნულ მდგომარეობას ხაზი გაესვა ევროპის საბჭოს ეპას-ის საკონსულტაციო ვიზიტის ფარგლებში მომზადებულ ანგარიშში, სადაც საუბარია მასობრივი სპორტული ორგანიზაციებისთვის ინფრასტრუქტურის ნაკლებობზე. ანგარიშში ნახსენებია ასევე ის გარემოება, რომ დღესდღეობით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განთავსებული სასპორტო ინფრასტრუქტურის გამოყენება არ შეუძლიათ იმავე სკოლის მოსწავლეებს საგაკვეთილო საათების შემდგომ, ასევე სხვა მსურველებს. ფიქსირდება საზღაურის სანაცვლოდ დათმობის პრობლემაც. დოკუმენტში აღნიშნულია საქართველოს კლიმატური გარემოც, რამდენადაც ტემპერატურის ვარდნის პერიოდში დახურულ სასპორტო ინფრასტრუქტურაზე წვდომა მზარდი მნიშვნელობის მატარებელია, რაც შესაძლებელია მათ შორის სასკოლო ინფრასტრუქტურაზე წვდომამ დააბალანსოს. არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის არაჯეროვან ათვისებაზე ასევე აქცენტი გააკეთა სახელმწიფო

აუდიტის სამსახურმა ეფექტიანობის ანგარიშში, სადაც აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტებმა და შესაბამისმა სამინისტრომ ხელი უნდა შეუწყონ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის დატვირთვას, რომელიც გაზრდის მოსახლეობის ჩართულობას ფიზიკურ აქტივობებში. მასობრივი სპორტის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება იმაშიც მდგომარეობს, რომ ჯერ ჯერობით საქართველოში არ არსებობს სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ერთიანი სისტემა, რაც გაზრდის მასობრიობას, დაეხმარება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს და ეფექტურს გახდის ობიექტების გამოყენებას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, პროგრამის ფარგლებში, აღწერს ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებულ სპორტულ ბაზებს, ობიექტებს და ახლის მოწყობისთვის შესაძლებლობებს და შეძლებისდაგვარად, თანამედროვე სტდანდარტების დაცვით გაატარებს ღონისძიებებს მშენებლობისა და რეაბილიტაციის კუთხით.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლა;
- ✓ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია/მშნებლობა და მოწყობა;
- ✓ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ხელშეწყობა;
- ✓ საცურაო აუზისა და წყალბურთის ბაზის მოწყობის ხელშწყობა;
- ✓ საცხენოსნო კლუბის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- ✓ საჭადრაკო კლუბის შენობით უზრუნველყოფა;
- ✓ სარბენი ბილიკის (მანეჟის) მოწყობის ხელშეწყობა;
- ✓ სკეიტ პარკის მოწყობის სამუშაოების განახლება და დასრულება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძეები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	ქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლა	მონაცემთა არასრული ბაზა	2	2	4	მონაცემთა ბაზის დაზუსტება	1	2	2
2.	ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მინი სპორტული მოედნების	შეზღუდული ფინანსური რესურსები	4	5	20	ფინანსური რესურსების მოძიება	3	4	12

	რეაბილიტაცია/მშენებლობა								
3.	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	4	5	20	ფინანსური რესურსების მოძიება	3	4	12
4.	ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	4	5	20	ფინანსური რესურსების მოძიება	3	4	12
5.	საცურაო აუზისა და წყალბურთის ბაზის მოწყობის ხელშწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	4	5	20	ფინანსური რესურსების მოძიება	3	4	12
6.	საცხენოსნო კლუბის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	შეზღუდული ფინანსური რესურსები	4	5	20	ფინანსური რესურსების მოძიება	3	4	12
7.	საჭადრაკო კლუბის შენობით უზრუნველყოფა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	4	5	20	ფინანსური რესურსების მოძიება	3	4	12
8.	სარბენი ბილიკის (მანეჟის) მოწყობის ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	4	5	20	ფინანსური რესურსების მოძიება	3	4	12
9.	სკეიტ პარკის მოწყობის სამუშაოების განახლება და დასრულება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	4	5	20	ფინანსური რესურსების მოძიება	3	4	12

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- სპორტული კლუბები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ცენტრალური ხელისუფლება;
- რეგიონლური ხელისუფლება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;

- სამშნებლო კომპანიები;
- სპორტული კლუბები;
- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.
ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“;
ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019	ქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლა				x	x	x	x	x				
2019-2021	ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია/მშენებლობა				x	x	x	x	x	x	x		
2020-2021	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2021	ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ხელშეწყობა			x	x	x	x	x	x	x	x		
2021	საცურაო აუზისა და წყალბურთის ბაზის მოწყობის ხელშწყობა			x	x	x	x	x	x	x	x		
2021	საცხენოსნო კლუბის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია			x	x	x	x	x	x	x	x		
2020 - 2021	საჭადრაკო კლუბის შენობით უზრუნველყოფა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2021	სარბენი ბილიკის (მანეჟის) მოწყობის ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2021	სკეიტ პარკის მოწყობის სამუშაოების განახლება და დასრულება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებულია კვლევა ქალაქ ბათუმში სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესახებ;
- რეაბილიტირებული მინი სპორტული მოედნების რაოდენობა;
- აშენებული მინი სპორტული მოედნების რაოდენობა;
- სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურის რაოდენობა;
- ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურის რაოდენობა;
- მოწყობილია საცურაო აუზი და წყალბურთის ბაზა;
- რეაბილიტირებულია საცხენოსნო კლუბი;
- საჭადრაკო კლუბი უზრუნველყოფილია შენობით;
- ფუნქციონირებს სარბენი ბილიკი (მანეჟი);
- მოწყობილია სკეიტ პარკი.